

ხელშეკრულება № 27/01

სამუშაოს შესრულებაზე

28 აპრილი 2011 წ.

შპს "ენგურჰესი" შემდგომში წოდებული "დამკვეთად", მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სს "საქენერგორმონტი"-ს შემდგომში წოდებული "შემსრულებლად" მისი აღმასრულებელი დირექტორის ზურაბ ჯაფელიძის სახით, რომელიც მოქმედებს ასევე თავისი საწარმოს წესდების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საბანი

"დამკვეთი" ავალებს, ხოლო "შემსრულებელი" თანახმაა ურთიერთშეთანხმებულ ვადაში შეასრულოს ენგურჰესისთვის შემდეგი სამუშაო :

ელექტრო ძრავების შეკეთება:

1. ელექტრო ძრავის 30 კვტ 1470 ბრ/წთ

ტიპი AO2-72-4 შეკეთება

1 ცალი

2. ელექტრო ძრავის სტატორის 37 კვტ 2980 ბრ/წთ

ტიპი 5A200-M2-Y3 შეკეთება

1 ცალი

დანართები №1, №2 და №3 სამუშაოს ღირებულება და მოცულობა

2. სახელშეკრულებო დოკუმენტები, მათი გამოყენება



2.1. ხელშეკრულებასთან ერთად სახელშეკრულებო დოკუმენტებს წარმოადგენს სამუშაოს მოცულობა, ხარჯთაღრიცხვა, მიწერ-მოწერა "დამკვეთსა" და "შემსრულებელს" შორის სამუშაოს შესრულების პერიოდში და მიღება-ჩაბარების აქტი.

3. გარანტიები

3.1. "შემსრულებელი" იძლევა საგარანტიო ვადას მომსახურებაზე, რომელიც განისაზღვრება 6 (თვე) თვით. ის ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები მოთხოვნილი ხარისხით, ხელშეკრულებით დათქმულ დროში (შესრულების გარანტია). სამუშაოს უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში "შემსრულებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაასწოროს მისი მიზეზით გამოწვეული ყველა დეფექტი და უწესიერობა საგარანტიო ვადის განმავლობაში და აუნაზღაუროს "დამკვეთს" ამ დეფექტით მიყენებული ზარალი.

4. ცვლილება ხელშეკრულებაში

4.1. ხელშეკრულების ორივე მხარეს, სამუშაოს მსვლელობის დროს, აქვთ უფლება შეიტანონ ტექნიკური ცვლილებები სამუშაოთა მოცულობაში, თუ მათი აზრით ეს ცვლილებები აუმჯობესებს შედეგებს და არის შესრულებადი, ამასთან "დამკვეთს" აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს "შემსრულებელის" წინადადება ცვლილებებზე.



- 4.2. ნებისმიერ შემთხვევაში ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პროცედურები (აღწერა, დაპროექტება, სახელშეკრულებო დროის და ფასების შეცვლა და ა.შ.) ფორმდება როგორც დამატება ხელშეკრულებაზე და მხარეების ხელმოწერის შემდეგ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამავე წესით ფორმდება მუშაობის პროცესში გამოვლენილი დამატებითი სამუშაოს მოცულობები.
- 4.3. არავითარი ცვლილებები არ მიიღება ცალმხრივად, მხარეების წერილობით შეთანხმების გარეშე.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 5.1. "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას:
 - მკაცრად დაიცვას სამუშაოს დამთავრების სახელშეკრულებო ვადები და სამუშაოს შესრულების ხარისხი;
- 5.2. "დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას:
 - სამუშაოს დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში აუნაზღაუროს "შემსრულებელს" შესრულებული სამუშაოს საფასური.

6. მხარეთა პასუხისმგებლობები

- 6.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 6.2. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისთვის მიყენებული ზარალი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 6.3. იმ შემთხვევაში, თუ "შემსრულებელი" 2 დღეზე მეტად გადააცილებს სამუშაოს შესრულების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "დამკვეთის" წინაშე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

- 7.1. სახელშეკრულებო ფასი შეადგენს 4508,0 (ოთხი ათას ხუთას რვა) ლარს დღგ-ს ჩათვლით
- 7.2. ხელშეკრულების ფასი მყარია და შეიცვლება მხოლოდ მაშინ, თუ ორმხრივი შეთანხმებით შეიცვლება სამუშაოს მოცულობა. ამ შემთხვევაში ცვლილებები აისახება დამატებით ხელშეკრულებაში.
- 7.4. გადახდის დაგვიანების შემთხვევაში "დამკვეთი" გადაიხდის "შემსრულებლის" სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0.1%-ს, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.
- 7.5. ანგარიშსწორება მხარეებს შორის ხორციელდება გადარიცხვის წესით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სამუშაოს ჩაბარებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში.

8. ვალდებულებების შესრულების ვადები

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო ქმედებას "შემსრულებელი" იწყებს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.
- 8.2. "შემსრულებელს" უფლება აქვს თავისი ვალდებულებები შეასრულოს ვადმდე.
- 8.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაა 15 სამუშაო დღე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან.

Handwritten signature

Handwritten signature

9 ფორს-მაჟორი

- 9.1. ფორს-მაჟორული გარემოება ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას და/ან მათ კომბინაციას, რომელიც არ არის კონტროლირებადი არც ერთი მხარის მიერ და რომელმაც (ან რომლის შედეგმაც) შეიძლება მნიშვნელოვნად და უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მხარის უნარზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები რომელიც წარმოიშვება ამ ხელშეკრულების მიხედვით, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი მოვლენა, გარემოება და/ან მათი კომბინაცია არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად თუ იგი შეიძლებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილებული, ან გამოსწორებული ყოფილიყო შემკვეთი მხარის მიერ.
- 9.2. ფორს-მაჟორული გარემოებები შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, რომლის წყარო არის საქართველოში, ელვა ჭექა-ქუხილი, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

10. სხვა პირობები

- 10.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
- 10.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ გეხემპლიარად, რომელთაგან თითოეულს თანაბარი ძალა გააჩნია.
- 10.3. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს 10 დღით ადრე მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.
- 10.4. სადაო საკითხები დარეგულირდება ორმხრივი მოლაპარაკებით. თუ ეს მოლაპარაკება აღმოჩნდება უშედეგო, დაუა გადაწყდება სასამართლოს წესით საქართველოს კანონების მიხედვით.
- 10.5. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეებს შორის სრულ ანგარიშსწორებამდე.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები

“დამკვეთი”

“შემსრულებელი”

შპს “ენგურჰესი”

სს”საქენერგორემონტი”

გალის რ-ნი დ.საბერიო

ლანჩხუთი სოფ. შუხუთი

სს”პროგრედიტბანკი” ქუთაისის ფილიალი
კოდი 220101929
ა/ა 30 1467126

სს”ბანკი ქართუ” GRTUGE22


ა/ა GE89CR00 0000 0000 083603


ს/კოდი 251716371

ს/კოდი 236037962

დირექტორთა საბჭოს თავ-რე

აღმასრულებელი დირექტორი


 ლ. მავონია


ბ. ჯავახია


შპს "ენგურჰესი"
ელექტრო ძრავების შეკეთება

№	დასახელება	რ-ბა	ღირებულება დღგ-ს ჩათვლით ლარი
1	ელექტრო ძრავის სტატორის 5A200-M2-Y3 37 კვტ 2980 ბრ/წთ შეკეთება	1 ც	2434
2	ელექტრო ძრავის AO2-72-4 30 კვტ 1470 ბრ/წთ შეკეთება	1 ც	2074
ჯამი			4508

დამკვეთი

 ლ. მუბონია


შემსრულებელი

 ხ. ჯავკიძე



ელექტრო ძრავის სტატორის 37 კვტ 2980 ბრ/წთ შეკეთება
 5A200-M2-Y3
 სამუშაოს მოცულობა

№	დასახელება	შენიშვნა
1	სტატორის შუბლური ნაწილის შემოჭრა	
2	სტატორიდან ძველი სექციების ამოღება სტატორის გაწმენდა	
3	სტატორში ჩადუღებული ადგილების გაწმენდა ხეხვით	
4	კორპუსული იზოლაციის დამზადება და ჩაწყობა პაზებში	
5	სექციების დახვევა ახალი მათულისაგან და ჩაწყობა სტატორში	
6	სქემის აწყობა მირჩილვა	
7	სტატორის გამოცდა	
8	სტატორის გაუდენტვა ლაქით, შეღებვა და შრობა	
9	სტატორის საბოლოო ელექტრული გაზომვები და ოქმის შედგენა	

დამკვეთი

 ლ. მებონია


შემსრულებელი


 ზ. ჯავახიძე


ელექტრო ძრავის 30 კვტ 1470 ბრ/წთ შეკეთება
 AO2-72-4
 სამუშაოს მოცულობა

№	დასახელება	შენიშვნა
1	ელექტრო ძრავის დაშლა როტორის გამოღებით როტორის რევიზია	
1	სტატორის შუბლური ნაწილის შემოჭრა	
2	სტატორიდან ძველი სექციების ამოღება სტატორის გაწმენდა	
3	სტატორში ჩადუღებული ადგილების გაწმენდა ხეხვით	
4	კორპუსული იზოლაციის დამზადება და ჩაწყობა პაზებში	
5	სექციების დახვევა ახალი მათულისაგან და ჩაწყობა სტატორში	
6	სქემის აწყობა მირჩილვა	
7	სტატორის გამოცდა	
8	სტატორის გაუდენტვა ლაქით, შეღებვა და შრობა	
9	სტატორის საბოლოო ელექტრული გაზომვები და ოქმის შედგენა	
10	საკისრების შეცვლა	
11	ელექტრო ძრავის აწყობა და გამოცდა უქმ სვლაზე	

დამკვეთი

 ლ. მებონია

შემსრულებელი


 ხ. ჯაველიძე

**მიღება-ჩაბარების
აქტი**

"12" მაისი 2011 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: შპს "ენგურჰესი" (დამკვეთი) წარმოდგენილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლევან მებონიას სახით ერთი მხრივ და მეორეს მხრივ სს"საქენერგორემონტი" (შემსრულებელი) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ზურაბ ჯაველიძის სახით ვადასტურებთ, რომ აქტის გაფორმების მომენტისათვის "შემსრულებელმა" შეასრულა 2011 წლის 28 აპრილს გაფორმებული №27/01 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები:


№	სამუშაოს დასახელება	რ-ბა	ღირებულება დღგ-ს ჩათვლით	მიწოდების % საანგარიშო პერიოდში	მიწოდება საანგარიშო პერიოდში ლარებში დღგ-ს ჩათვლით
1	ელექტრო ძრავის სტატორის 5A200-M2-Y3 37 კვტ 2980 ბრ/წთ შეკეთება	1 ც	2434	100	2434
2	ელექტრო ძრავის ბრ/წთ შეკეთება AO2-72-4 30 კვტ 1470	1 ც	2074	100	2074
	ჯამი		4508		4508


საანგარიშო პერიოდში წინამდებარე აქტის გაფორმების მომენტისათვის მიწოდებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 100 %. მიწოდებული სამუშაოების ღირებულებამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა **4508,0 (ოთხი ათას ხუთას რვა) ლარი დღგ-ს ჩათვლით**

მიწოდებული სამუშაო შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ ნორმებს.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ შენიშვნები არ აქვთ

დამკვეთი

 ლევან მებონია



ზურაბ ჯაველიძე

ასინქრონული ძრავის სტატორის გამოცდა

სს"საქენერგორემონტი"

შემკვეთი შპს "ენგურპესი"

საქარხნო №	ტიპი	სიმძლავრე (კვტ)	სიმძლავრის კოეფიციენტი	გამომყვანების აღნიშვნის სქემა
267	5A200M2Y3	37	2940 ბრ/წთ	U1 V1 W1

1. იზოლაციის წინააღმდეგობის გაზომვა (მგ.ო)

სტატორის გრაგნილი						როტორის გრაგნილი	როტორის მარწუხი
U ₁ -K	V ₂ -K	W ₃ -K	U ₁ -V ₂	V ₂ -W ₃	U ₁ -W ₃		
3000							

2. გრაგნილის წინააღმდეგობის გაზომვა მუდმივი დენით

სტატორის გრაგნილი			როტორის გრაგნილი		
U ₁ -V ₁	V ₁ -W ₁	W ₁ -U ₁			
0,1010	0,1005	0,1014			

3. იზოლაციის ელექტრულ სიმტკიცეზე გამოცდა

სტატორის გრაგნილი			როტორის გრაგნილი	როტორის მარწუხი
U	V	W		
1,5	1,5	1,5		

გამოცდის ხანგრძლივობა 1 წთ

4. ხეიათა შორის იზოლაციის გასინჯვა

U	V	W
112	114	115

5. უქმი სვლის დენი (ა)

U	V	W


6. საკონტროლო ხელსაწყოები

- მეგომეტრი 1000ვ
- მუდმივი დენის ბოგირი P333
- ვოლტმეტრი
- ამპერმეტრი

დასკვნა: ელექტრული გაზომვის შედეგები აკმაყოფილებს ტექნიკური მოთხოვნის ნორმებს.

გამოცდა ჩაატარა

ბ. ბერიძე ბ. ბერიძე



ოქმი გასინჯა

ა. კრავცოვი ა. კრავცოვი

ოქმი № 244
ასინქრონული ძრავის გამოცდა

სს"საქენერგორემონტი"

შემკვეთი შპს "ენგურჰესი"

საქარხნო №	ტიპი	სიმძლავრე (კვტ)	ბრუნთა რიცხვი	ამომყვანების აღნიშვნის სქემა
4857	AO2-72-4 Y3	30	1450 ბრ/წთ	C ₁ C ₂ C ₃
		380ვ		
		55 ა		

1. იზოლაციის წინააღმდეგობის გაზომვა (მგ.ო)

სტატორის გრაგნილი						როტორის გრაგნილი	როტორის მარწუხი
C1-K	C2-K	C3-K	C1-C2	C2-C3	C1-C3		
8000							

2. გრაგნილის წინააღმდეგობის გაზომვა მუდმივი დენის მიმართ

სტატორის გრაგნილი			როტორის გრაგნილი		
C1-C2	C2-C3	C1-C3			
0,1639	0,1642	0.1637			

3. იზოლაციის ელექტრულ სიმტკიცეზე გამოცდა

სტატორის გრაგნილი			როტორის გრაგნილი	როტორის მარწუხი	
C1	C2	C3			ფაზების დასახელება
1,5	1.5	1,5			საგამოცდო დაბვა (კვ)

გამოცდის ხანგრძლივობა 1 წთ

4. ხვიათაშორის იზოლაციის გაზომვა (ა) \dot{Y}

C1	C2	C3
104	103	102

5. უქმი სვლის დენი (ა)

C1	C2	C3
20	20	21

დასკვნა: ელექტრული გაზომვები აკმაყოფილებს ტექნიკური მოთხოვნის ნორმებს

საკონტროლო ხელსაწყოები

- მეგომეტრი 1000ვ
- მუდმივი დენის ბოგირი P333
- ვოლტმეტრი
- ამპერმეტრი

გამოცდა ჩაატარა

ბ. ბერიძე

ბ. ბერიძე

ოქმი შეამოწმა

ა. კრავცოვი

ა. კრავცოვი

